საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

26 თებერვალი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №151/17

-- -- 2017 წლის 29 აგვისტოს №- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 2 თებერვლის №151/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, -- -- სასამართლომ 2017 წლის 29 მარტს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულს საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ თანაშემწემ -- -- მობილური ტელეფონით აცნობა სხდომის თარიღის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თანაშემწეს მხარემ აცნობა სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ და მიიღო დაპირება, რომ სხდომა სხვა დროისათვის გადაიდებოდა, მოსამართლემ მაინც მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ამასთან, მოსამართლემ რამდენჯერმე უსაფუძვლოდ გადადო სხდომა, ხოლო ერთ შემთხვევაში, უწყება გაუგზავნა საავადმყოფოში მყოფ მოპასუხეს და ისე ჩაატარა სხდომა, რომ -- -- მარწმუნებელს სხდომაზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონია.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მხარის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის დროს მოსამართლემ, მოთხოვნის მიუხედავად, შეგნებულად არ უზრუნველყო სხდომაზე 2017 წლის 22 მარტის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის წარდგენა. ამასთან, ყურადღება გაამახვილა 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და მხარეებს მოუწოდა მორიგებისაკენ.

2017 წლის 26 ივნისს მხარემ მოითხოვა მოსამართლის აცილება იმ საფუძვლით, რომ -- -- იჩენდა დაინტერესებას საქმის შედეგით და აშკარა მიკერძოებას მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. მოსამართლემ არ იმსჯელა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე მხარის 2017 წლის 2 თებერვლის შუამდგომლობაზე. ამასთან, მოსამართლე -- -- იმდენად სურდა საქმის განხილვის სწრაფად დასრულება, რომ მხარეებთან შეთანხმების გარეშე გააგრძელა საქმის განხილვა არასამუშაო საათებში. მოსამართლემ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ერთ-ერთი მხარე იმყოფებოდა საავადმყოფოში, მაინც გააგრძელა საქმის განხილვა და ჩანიშნა შესაბამისი სხდომები.

2017 წლის 12 ივლისს მხარემ იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ -- -- სასამართლოში იხილებოდა ადმინისტრაციული საქმე N--, რომელზე დამდგარ შედეგსაც შეიძლება არსებითი სახის გავლენა მოეხდინა მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებულ N--სამოქალაქო საქმეზე. აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლის მიერ უკანონოდ არ იქნა დაკმაყოფილებული. ამასთან, 2017 წლის 23 აგვისტოს -- -- გარდაცვალების გამო მისმა წარმომადგენელმა მოითხოვა როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერება. ადმინისტრაციულ საქმეზე მოსამართლის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, 1 წლის ვადით უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო სამოქალაქო საქმეზე N--. მოსარჩელემ იშუამდგომლა საქმის გახმობის შესახებ, რაც მოსამართლის მიერ უკანონოდ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო შეგებებული სარჩელის ნაწილში უკანონოდ იქნა შეჩერებულ საქმის წარმოება 7 თვის ვადით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 14 ნოემბერს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხე -- --, -- --, -- --, -- --, -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე.

მოპასუხე -- -- შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2016 წლის 2 დეკემბერს.

-- -- სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 16 იანვარს. აღნიშნულის შესახებ მხარეებს ეცნობათ სატელეფონო შეტყობინებით, რომლის თაობაზეც მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგა აქტი.

2017 წლის 16 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- იშუამდგომლა საქმეში მესამე პირების ჩართვის თაობაზე.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 16 იანვრის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) მოპასუხის წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა საქმეში მესამე პირების ჩართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებათა დართვის თაობაზე დაკმაყოფილდა; საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 1 თებერვალს 12:00 საათზე.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) მოპასუხის წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა შეგებებული სარჩელის წარდგენის მიზნით საქმის განხილვის გადადების შესახებ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 2 თებერვალს -- -- სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართეს -- --, -- --, -- --, -- -- და 2013 წლის 19 აპრილის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, 2014 წლის 16 იანვრის სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა და ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს. აღნიშნულ შეგებებულ სარჩელში მხარეებმა იშუამდგომლეს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

2017 წლის 21 თებერვალს -- -- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- და მტკიცებულებების გამოთხოვა მოითხოვა.

-- -- და -- -- შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი -- -- სასამართლოში 2017 წლის 1 მარტსა და 10 მარტს წარადგინეს.

2017 წლის 22 მარტს -- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგა სატელეფონო შეტყობინების აქტი, რომლის თანახმადაც იგი 22 მარტს ტელეფონით ესაუბრა -- -- წარმომადგენელ -- -- და მოპასუხეების წარმომადგენელს -- -- და შეგებებული სარჩელით მოპასუხეების -- -- და -- -- წარმომადგენელს -- --, რომელთაც აცნობა, რომ

სასამართლოს მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 29 მარტს 14:00 საათზე. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 29 მარტის მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე -- --, მისი წარმომადგენლები -- -- და -- --. სხდომაზე არ გამოცხადდნენ -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და მოპასუხის წარმომადგენელი -- --.

2017 წლის 29 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელე მ-- -- სარჩელი მოპასუხეების -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა; მოპასუხეების -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა -- -- კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე -- -- -- -- და იგი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელე -- --; შეგებებული სარჩელით მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა; მოსარჩელეებს -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 29 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება -- -- გაეგზავნა 2017 წლის 1 მაისს და ჩაბარდა 2 მაისს.

2017 წლის 23 მაისს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა 2017 წლის 22 მარტის სატელეფონო შეტყობინების გადაცემა.

2017 წლის 29 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- საჩივრით გაასაჩივრა.

-- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგა მიმართვა, რომლის თანახმადაც, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა 2017 წლის 22 მარტის სასამართლოების საერთო ნომრიდან, ტელეფონზე ნომრით --- --- განხორციელებული ზარის აუდიო ჩანაწერი. აღნიშნული აქტი სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში გადაიგზავნა 2017 წლის 16 ივნისს და დეპარტამენტს ჩაბარდა 19 ივნისს.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2017 წლის 22 მარტის 13:44 საათზე განხორციელებული სატელეფონო ზარის ჩანაწერი -- -- სასამართლოს გაეგზავნა 2017 წლის 23 ივნისს.

2017 წლის 26 ივნისს -- -- სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) საჩივრის ავტორის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეთა საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს მიერ 2017 წლის 29 მარტს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) საქმის განხილვა გაგრძელდა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ეტაპიდან, ვინაიდან

სასამართლომ მიიღო მხარის შეგებებული სარჩელი, ასევე გააუქმა სასამართლოს მთავარ სხდომაზე მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება; მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 5 ივნისს -- -- სასამართლოს საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობით მიმართა -- --, -- --, -- და -- -- წარმომადგენელმა -- --.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- შეგებებული სარჩელი მოპასუხე -- -- მიმართ სანოტარო წესით გაცემული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის, ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დარჩა განუხილველად.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისის საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) არ დაკმაყოფილდა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე.

2017 წლის 18 ივლისს ჩატარებულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე, რის გამოც სასამართლოს მთავარი სხდომა გადაიდო 2017 წლის 21 ივლისს. აღნიშნული თაობაზე მოპასუხეებს გაეგზავნათ შესაბამისი სასამართლო უწყებები, თუმცა გზავნილის ადრესატებისთვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, როგორც სასამართლოს კურიერის მიერ შედგენილი აქტიდან ირკვევა ბინა მითითებულ მისამართზე იყო დაკეტილი.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით (მოსამართლე -- --) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- სამმართველოს დაევალა 3 დღის ვადაში, ამავე განჩინების ასლის მოპასუხეების -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- ჩაბარება.

2017 წლის 24 ივლისს -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და უარი განაცხადა -- --წარმომადგენლობაზე.

2017 წლის 8 აგვისტოს -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და -- -- გარდაცვალების გამო მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება უფლებამონაცვლის დადგენამდე.

-- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგა აქტი, რომლის თანახმადაც 2017 წლის 23 აგვისტოს ჩანიშნული სხდომის თაობაზე ეცნობა -- --.

2017 წლის 22 აგვისტოს -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და სასამართლოს წარუდგინა 2017 წლის 17 ივლისს ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დაუდგინდა სტენოკარდია და ჰიპერგლიკემია.

2017 წლის 22 აგვისტოს -- -- სასამართლოს საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნით მიმართა მოპასუხეთა წარმომადგენელმა -- --.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 23 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საქმეზე N-- -- -- სარჩელის გამო -- -- და სხვათა მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით, შეწყდა საქმის წარმოება მოპასუხე -- -- მიმართ, მისი გარდაცვალების გამო; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელით მოსარჩელეების -- --, -- --, -- -- და -- -- შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ; შეჩერდა სამოქალაქო საქმის N-- წარმოება -- --, -- --, -- -- და -- -- შეგებებული სარჩელისა გამო -- -- და -- -- მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და თანხის დაკისრების მოთხოვნით; შეგებებული სარჩელის მოსარჩელეებს -- --, -- --, -- -- და -- -- უარი ეთქვათ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ -- -- სარჩელის გამო -- -- და სხვათა მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 30 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი მოპასუხეების - -- --, -- -- და -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის და უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით დაკმაყოფილდა; მოპასუხეების -- --, -- -- და -- -- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა -- -- კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე: --- --- და მოსარჩელე -- -- გადაეცა გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5

პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

დადგენილია, რომ 2017 წლის 22 მარტს -- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის -- -- მიერ შედგა სატელეფონო შეტყობინების აქტი, რომლის თანახმადაც იგი 22 მარტს ტელეფონით ესაუბრა -- -- წარმომადგენელ -- -- და მოპასუხეების წარმომადგენელს -- -- და შეგებებული სარჩელით მოპასუხეების -- -- და -- -- წარმომადგენელს -- --, რომელთაც აცნობა, რომ -- -- სასამართლოს მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 29 მარტს 14:00 საათზე. მხარეები გაფრთხილებულ იქნენ გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 29 მარტის მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე -- --, მისი წარმომადგენლები -- -- და -- --. სხდომაზე არ გამოცხადდნენ -- --, -- --, -- --, -- -- და მოპასუხის წარმომადგენელი -- -- აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლე -- -- მიერ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულება - სატელეფონო შეტყობინების აქტი, მოსამართლეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად, აძლევდა უფლებამოსილებას მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამასთან, მართალია -- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ სატელეფონო შეტყობინების აქტი არ იყო შედგენილი სრულყოფილად, მასში ასახული არ იყო მხარის თხოვნა საქმის განხილვის გადადების თაობაზე, თუმცა სასამართლოს მოხელე განსახილველ შემთხვევაში არ წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს, შესაბამისად, ვერ ვიმსჯელებთ მის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობა წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარებას უშუალოდ მოპასუხისათვის გზავნილისა თუ უწყების ჩაბარების ტოლფასად მიიჩნევს. წარმომადგენლის ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, მხარეს რომელიც ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას ან არ სურს საქმის განხილვაში პირადად მონაწილეობის მიღება, მიეცეს შესაძლებლობა დაიცვას თავისი ინტერესები ადვოკატის/წარმომადგენლის მეშვეობით. შესაბამისად, იმ პირობებში როდესაც უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა მოპასუხის წარმომადგენელ -- -- მოსამართლეს უფლება ქონდა ჩაეტარებინა სხდომა და განეხილა კონკრეტული საკითხები. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოსამართლეს ანიჭებდა იმის უფლებამოსილებას, რომ სხდომა ჩაეტარებინა მოპასუხის დასწრების გარეშე, წარმომადგენლის მონაწილეობით. რაც შეეხება სხდომების გადადებას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სხდომები უმეტესწილად იდებოდა მხარეთა, კერძოდ მოპასუხის ინიციატივით.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივრის განხილვის დროს მოსამართლემ, მოთხოვნის მიუხედავად, შეგნებულად არ უზრუნველყო 2017 წლის 22 მარტის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის წარდგენა სხდომაზე. ამასთან, ყურადღება გაამახვილა 215-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და მხარეებს მოუწოდა მორიგებისაკენ.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგა მიმართვა, რომლის თანახმადაც, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოითხოვა 2017 წლის 22 მარტის სასამართლოების საერთო ნომრიდან, ტელეფონზე ნომრით --- ---, განხორციელებული ზარის აუდიო ჩანაწერი. აღნიშნული აქტი სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში გადაიგზავნა 2017 წლის 16 ივნისს და დეპარტამენტს ჩაბარდა 19 ივნისს.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, 2017 წლის 22 მარტის 13:44 საათზე განხორციელებული სატელეფონო ზარის ჩანაწერი -- -- სასამართლოს გაეგზავნა 2017 წლის 23 ივნისს.

ამდენად, სასამართლომ სატელეფონო ზარის ჩანაწერი გამოითხოვა და მიიღო დადგენილი წესის შესაბამისად.

რაც შეეხება, მორიგებისაკენ მხარეთა მოწოდებას აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი განამტკიცებს დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის საფუძველზეც, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

მორიგება თავისუფალი ნების გამოვლენაა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომას ისახავს მიზნად. იგი თავისი ბუნებით სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მასზე გარიგების ნამდვილობის ყველა ის მოთხოვნა ვრცელდება, რაც სამოქალაქო კოდექსითაა გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო, მოპასუხეს - ცნოს სარჩელი. საქმის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არამარტო იურიდიულად, ფაქტობრივადაც გადაწყდება. ამიტომ, სასამართლო უნდა ეცადოს, რომ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა მორიგებით დაამთავროს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე და 218-ე მუხლები). საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მხარეთა შორის მორიგების მიზნით მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულების მნიშვნელობა და შესთავაზოს მხარეებს მორიგება, დააკმაყოფილოს მხარეთა შუამდგომლობა მათ შორის მორიგების პირობებზე შეთანხმების მიზნით საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შესახებ, უფრო მეტიც, თვითონ შესთავაზოს მორიგების პირობები, მიუთითოს მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე. ამდენად, მოსამართლის განმარტებები, მიმართული როგორც მოსარჩელე ისე მოპასუხე მხარისადმი, განხილულ უნდა იქნეს ისეთ შემთხვევად, როდესაც მოსამართლე ცდილობს მხარეებს შორის მორიგების მიღწევას.

ამდენად, მოსამართლე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო მხარეებისათვის მოეწოდებინა მორიგებისაკენ, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს. ამავე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მულის თანახმად, აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 2.5. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.

საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება, ერთის მხრივ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას და, მეორეს მხრივ, სწორედ სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2017 წლის 26 ივნისს -- -- სასამართლოს საოქმო განჩინებით (მოსამართლე -- --) საჩივრის ავტორის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 2 თებერვალს -- -- სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართეს -- --, -- --, -- --, -- -- და მოითხოვეს 2013 წლის 19 აპრილის, სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, 2014 წლის 16 იანვრის სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა და ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ შეგებებულ სარჩელში მხარეებმა იშუამდგომლეს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

2017 წლის 21 თებერვალს -- -- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხეთა წარმომადგენელმა -- -- და მტკიცებულებების გამოთხოვა მოითხოვა.

დადგენილია, რომ შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ 2017 წლის 29 მარტამდე საქმეზე სხდომა არ გამართულა, ხოლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივრის შედეგად საქმის წარმოების განახლების შემდეგ, მხარეს მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე სხდომაზე არ უშუამდგომლია, რაც თავის მხრივ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეს შუამდგომლობის განხილვის ინტერესი აღარ ჰქონდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია განიხილოს საქმე ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არასამუშაო დროს, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეებში.

დადგენილია რომ, 2017 წლის 5 ივლისს სასამართლოს სხდომა დაიწყო 17:28 საათზე და დასრულდა 18:15 საათზე. ამდენად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაგრძელება სამუშაო საათების დასრულების შემდეგ მხოლოდ 15 წუთით შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქმის ეფექტური და სწრაფი განხილვის და არა სწრაფად დასრულების მცდელობა, რაც თვის მხრივ მოსამართლის მიერ პროცესის ეკონომიურობისაკენ იყო მიმართული.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს. ამავე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ წარდგენილ ყველა შუამდგომლობაზე იმსჯელა კანონით დადგენილი წესით და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი განჩინებები, ხოლო, ის გარემოება, თუ რამდენად სწორად იქნა სასამართლოს მიერ შეფასებული მტკიცებულებები და საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რამდენად კანონიერი და დასაბუთებულია -- -- სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, აღნიშნულზე მსჯელობა სცილდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს, ვინაიდან „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივრებზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 26 თებერვლის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №151/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი